

„თეოლოგიის განვითარებას უწყობს ჩამოყალიბებული საეკლესიო საზოგადოების...
სადაც უნდა დასრულდეს, იგი ყველგან სრულდება... ყოველი
სახეობისთვის, რადიკალურად ცვალებადი თუ სტრუქტურულად
დაამტკიცებელი, ნაწილ-ნაწილად ახალი
დასაბუთებელი, რომელიც და
მეცნიერების ადგილი იქნას.“

ხობის მოამბე

№20 (7033) 23 ნოემბერი,
3300რა, 2014 წელი.
ზასი 70 თეთრი.

ხობის ეპისკოპოსოსის განცხადება
დღეს გიორგობაა, გილოცავთ!



გილოცავთ ხობის ეპისკოპოსოსის 2015 წლის ბიუჯეტის კრთეჭებს

➔ 3-10

აიჩნაე მისი წმიდა გიორგის სახეობის კავშირი იკრთეს



წირვის დასასრულს პარაკლისი აღავლინა მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა. საზეიმო წირვას ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

www.khobi.ge

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ტაძარში იკურთხა წმიდა გიორგის სახელობის მცირე ეკვდერი, რომლის კურთხევა აღასრულა სამებაჯიხეთის მონასტრის არქიმანდიტრმა ანდრია (კბილაშვილმა).



რათარი ინტერვიუ გოლარძი ბუაიასთან ყოველგვარი „ქრთლისტარი შულამაზების“ გარეშე

რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა მასალა, სადაც საქართველოს პარლამენტის წევრის, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ამონარიდი იყო ერთ-ერთი ინტერვიუდან, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად საუბარი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებითაც იყო, სადაც უურნალისტი ინტერვიუარს, რუსეთის ოკუპანტად დაფიქსირებას სთხოვდა და დაუინებოთ ეკითხებოდა - არის თუ არა რუსეთი საქართველოს ოკუპანტი?



-სხვათაშორის სახელოვნებო სფეროდან ბატონ გოდერძის ვიცინობ, როგორც ნაღდი ქართული საქმის მკეთებელ ქართველ კაცს და ჯერ მარტო მისი შექმნილი მეგურული სიმღერის ხობის ფესტივალი რად ღირს, რომელიც ჩემთვის პირადად, როგორც სახელოვნებო სფეროს უურნა-

ლისტიისთვის გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი და სიმართლე გითხრათ - მთელი მსოფლიოს მხრიდან ოკუპანტად აღიარებულ რუსეთს, ეს ადამიანი, დაუძახებს თუ არა ამ სახელს, ამ შემთხვევაში ნაკლებად მაინტერესებს - რადგან ხელოვნების ის ზეიმი, რომელსაც გოდერძი ბუკია თავის გუნდთან ერთად ორ წელიწადში ერთხელ აკეთებს, უკვე ყველაზე დიდი ქართული საქმეა და

➔ 2

წმიდა გიორგის ხადლი გუარავლეთ!



სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოხელეთა სხდომა

2014 წლის 21 ნოემბერს, სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს, გამგეობის და ადგილობრივი თვითმართველობის ხელმძღვანელები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პირველ და მეორე საკითხად ცნობად იქნა მიღებული ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ და ფრაქცია „თავისუფლების“ რეგისტრაციის შესახებ განკარგულების პროექტები (მომხსენებელი ნუგზარ შუშანია—სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).



მესამე საკითხად განხილული იქნა „სობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ და „სობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტები (მომხსენებელი: ზვიად ბუკია—გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი),

რომლის თანახმად რეგულირდება ადგილობრივი თვითმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობა და ყალიბდება საკრებულოს აპარატსა და გამგეობაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად აუცილებელი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სხდომის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო „სობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა (მომხსენებელი: დავით ჭოჭუა—გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი), სადაც საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს სხვადასხვა სახის შენიშვნები ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით, რაზედაც ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის შემდეგ წერილობით ეცნობება მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მოსმენილი იქნა ინფორმაცია სობის მუნიციპალიტეტში 2015-2017 წლებში რეგიონალური განვითარების, მუნიციპალური განვითარების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებული პროექტების შესახებ (მომხსენებელი: ანტონ ვარდიანეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

რეალური ინტერვიუ გოდარძი ბუხიასთან ყოველგვარი „ქრნალისტური შელაპაჯების“ გარეშე

1 — კიდევ ერთი—მუკუ ლოლუას სახელობის მუხეუმი, რომელსაც მსოფლიო ანალოგი არ აქვს... — მერე კიდევ, მისი მხარდაჭერით და დახმარებით გაკეთებული ბევრი სხვა, არასახელოვნებო საქმეების შესახებაც უამრავი მსმენია, მინახავს და დამიფიქსირებია და ცოტა არ იყოს გამიკვირდა, კიდევ როცა ვილაცამ მონდომა ამ ადამიანის გაკეთებული საქმეების მიფუნქცია, რაც ძალიან არ მომწონს და დაუფასებლობის ის ფორმატი, რაც სამწუხაროდ, ხშირად ახასიათებს ქართველებს - მაინცდამაინც არ მიმანია მისაღებად! განვმორღები და ვიტყვი—გოდარძი ბუკია თუ არ დაუძახებს რუსებს ოკუპანტებს, ისე რა - ვინმეს ეჭვი ეპარება იმაში, რაზეც მთელი მსოფლიო საუბრობს?

ჩვენი სააგენტო სობის მაჟორიტარ დეპუტატს ტელეფონით დაუკავშირდა და ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება სთხოვა:
გოდარძი ბუკია:—ჩემთვის ეს აქსიომა იყო, ახალი ამაში რა არის? შეფასებები გაკეთებულია იმ პარლამენტის მხრიდან, რომლის ოთხეზის მოწვევის წევრი ვიყავი, როგორც მაჟორიტარი და ყველა იმ აქტისთვის ხმა მაქვს მიცემული, რომელსაც წლებია უკვე მსოფლიო აღიარებს, მე ვიცი ეს ტკივილი, რადგან ჩემი უახლოესი ახლობელი ოჯახის წევრებიც და შვილები მოხვდნენ ამ საშინელებაში. ამოსავალი წერტილი რა არის?—პირადად ჩემთვის შედეგი! საქმის შედეგია მთავარი, და რა შედეგს ვღებთ

ჩვენ, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესები დავიცვათ? პათოსი ზუსტად ესაა... ამაში ახალი არაფერია... როცა სათქმელი იყო მაშინ ვთქვი და დავაფიქსირე ჩემი აზრი, - არაფრის მომცემი პათოსია დღეს ეს ყველაფერი - 20 წელზე მეტი გავიდა და რამე შედეგი მივიღეთ? ვერა სამწუხაროდ, ამა-სობაში თაობები იზრდებიან, რომლებსაც შეიძლება აღარც აფხაზეთი ახსოვდეთ და აღარც ოკუპირებული ტერიტორიები, მთელი ახალგაზრდობა, ჩემს აფხაზ მძებთან მაქვს გატარებული აფხაზეთში, დღეს? დღეს ვკარგავთ ამ ადამიანებს და მინდა საზოგადოებას მიხვდეს იმას, რომ საქმის კეთებით და საქმის შედეგით განისაზღვრება მათთან დაახლოების პრინციპი, გული მტკივა, განა იმაზე რომ ვილაცამ შეიძლება მე გამაღმძლოს, რამე ცუდი თქვას ჩემზე, არამედ იმაზე, რომ დრო გადის და შედეგი არ ჩანს. მიხანი ამართლებს საშუალებას, საზოგადოება კი ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, გზებს არ გვეკარნახობს, სკანდალების შექმნას - გზების მოძებნა სჯობს, შოთა რუსთველის ქვეყანაში, სადაც ყველა იცის, რომ - „გველსა ზერელით ამოიყვანს, ენა ტკილიდად მოუბარი“—სხვა პათოსების ძებნა რატომ უნდა გვჭირდებოდეს?

ჩემთვის პრიორიტეტი ყოველთვის ქართული საქმის კეთება იყო და დაჟინებული ჩაკითხვა იმაზე, რუსებს ოკუპანტი დაუძახე გინდა თუ არაო, დავიჯერო საქმეს უკეთესად გამოიყვანს, ვიდრე მუშაობა? ვიდრე ქართული საქმის, ქართული წარმოების და ვიდრე ქართული პოლიტიკის წარმოება ყველა ძალით?

—მაჟორიტარი დეპუტატი რატომ გადახვედი სამთავრობო გუნდში და რატომ გაერთიანდი უმრავლესობაშიო, მკითხეს - კი, მაგრამ თქვენ გინახავთ სახელისუფლო გუნდთან ერთად და ამის გარეშე საქმის შედეგებიანი კეთება? მე, როგორც მაჟორიტარმა (რომელიც ხალხმა ამირჩია პირდაპირი წესით) თუ რაიონის გამგებელთან მეტი კონტაქტი არ ვიქონიე, თუ საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად არ ვიმუშავებ რამის გაკეთებას შეუძლებ თუნდაც სობელისთვის? ოპოზიციაში ჩავდგე და მერე საქმე უკეთესად გამოივიკო როგორც მაჟორიტარი? არა მგონია... არ უნდა იყოს რთული გასაგები, რომ უმრავლესობასთან და ხელისუფლებაში მყოფ გუნდთან ერთად მუშაობის, ურთიერთობის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემთხვევაში უფრო კარგად მივიღებ შედეგს, რომელიც თითოეულ ჩვენს თანამემამულეზე უნდა აისახოს. უპარტიო ვიყავი და ვარ მთელი ეს პერიოდი, მე ვფიქრობ, რომ ჩემი სობელისთვის გაცილებით უკეთესად გავაკეთებ ყველაფერს, თუ ვითანამშრომლებ - სახელმწიფო უწყებებთან, სამინისტროებთან, საკრებულოსთან, მერიასთან, გამგეობასთან და იმ გუნდთან ვინც უმრავლესობაშია. ქვეყნის განვითარებისთვის ამ ქვეყნის სტაბილურობა ყველაზე მთავარია და უმრავლესობაში შესვლა მაჟორიტარებისა, სწორედ ამ მიზანს ემსახურება,—აცხადებს ჩვენთან საუბარში გოდარძი ბუკია.

ჟურნალისტი ბესო ჩუბინიძე.

ქართული ყველის ფესტივალი—2014

სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ყველის მწარმოებელთა გილდიის ორგანიზებით, საგამოფენო ცენტრში „ექსპო ჯორჯია“ უკვე ტრადიციულ ქვეყნული ყოველწლიური ყველის ფესტივალის გაიმართა. ღინისძეობა სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და საქართველოს ყველის მწარმოებელთა გილდიის თავმჯდომარემ, ანა მიქაძე-ჩიკვაძემ გახსნეს. წლებიდან ფესტივალზე საქართველოს ყველა რეგიონიდან წარმოდგენილი იყო 55-მდე სახეობის ყველი, მათ შორის: დამბალ-ხაჭო, მუჩლი, გულა, ჩენილი, ჩოგი, ტენილი, ნარჩვი, ლაგუჯი, სულგუნი, ბერქეიზი, თაფლში და ღვინოში დავარგებული ყველი, პარმეზანი, ყველის როლები სხვადასხვა გულსართით, ბეშუმური, ჭაჭაშოდებული, თხის ყველი და სხვა. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ როგორც ტრადიციული, უძველესი რეცეპტით დამზადებული ქართული ყველის სახეობები, ასევე საქართველოში წარმოებული ევროპული ბრენდირებული ყველის ანალოგები. 2014 წლის ყველის ფესტივალზე წარმოდგენილი იყო უძველესი რეცეპტების მიხედვით აღდგენილი 2 სახეობის ახალი ყველი—ჭარული „მუშველა“ და ციკნის ფაშაში დავარგებული მესხური ყველი. ყველის მოყვარულებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ და შეეძინათ სხვადასხვა სახეობის ყველი, მონაწილეობა მიეღო ყველის დამზადების პროცესში და თვალი ედევნებინათ ოსტატების მიერ ელარჯისა და თაშმაჯაბის დამზადების პროცესისთვის. ფესტივალის ფარგლებში, მოეწყო საქართველოში ყველის წარმოებასთან დაკავშირებული ისტორიული არტეფაქტების მინაბაძების გამოფენა. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ უკვე დაპატენტებული 14 სახეობის ყველის, ასევე ახლო მომავალში დასაპატენტებელი ყველისა და ღვინის ნიმუშებს.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა კონკურსიც, სადაც წლის ყველის მწარმოებელი და ხალხის რჩეული ყველი გამოვლინდა. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა კონკურსი, სადაც კატეგორიაში 12 გამარჯვებული კომპანია გამოვლინდა. მათ შორის კატეგორიაში ყველაზე ორიგინალური გაფორმება სამეგრელო-ზემო სვანეთის სტენდმა მოიპოვა. სადაც სობის მუნიციპალიტეტიც იყო წარმოდგენილი. ორიგინალურად და საინტერესოდ გაფორმებულ სობის კუთხეს უამრავი დამთვალიერებელი სტუმრობდა. ფესტივალის ფარგლებში ღინისძეების გამართვა საქართველოს რეგიონებში იგეგმება. ყველის მწარმოებელთა გილდიის ინიციატივით, მომავალ წელს ყველის ფესტივალის ფარგლებში ღინისძეების გამართვა საქართველოს რეგიონებში იგეგმება.



სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა დაიწყო

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობის მიერ, 2014 წლის 17 ნოემბერს განსახილველად წარედგინა 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რის შემდგომაც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში დაიწყო ბიუჯეტის პროექტის წინასწარი განხილვა.

სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი, თანდართულ განმარტებით ბარათთან ერთად, გამოსაქვეყნებლად და მუნიციპალიტეტის

საზოგადოებისთვის წინასწარ გასაცნობად გადაეცა გაზეთ „სობის მოამბეს“ და ასევე განთავსდა საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხილეთ „ბიუჯეტის“ განყოფილება). საკრებულოს ვებგვერდზე www.khobi-sakrebulo.ge ასევე პერიოდულად გამოქვეყნდება ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებული მასალები (საკრებულოს კომისიების, ფრაქციების და საზოგადოებიდან შემოსული წინადადებები).

საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში ბიუჯეტის პროექტის წინასწარი განხილვა 25 ნო-

ემბრამდე გაგრძელდება და შემუშავდება შესაბამისი წინადადებები, რის შემდგომაც საკრებულოს დაგეგმილი აქვს მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან შეხვედრის ორგანიზება, სადაც მოეწყობა 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა.

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საზოგადოებას მოუწოდებს აქტიურად ჩაერთოს 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში. მოსახლეობის მხრიდან გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები გათვალისწი-

ნებული იქნება საკრებულოს მიერ ბიუჯეტის განხილვისას.

წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები დაინტერესებულ პირს 2014 წლის 25 ნოემბრამდე უშუალოდ წერილობით წარმოადგინოს სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში (მისამართი: ქ. სობი. ცოტნე დადიანის ქ. N189. ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული. ოთახი N214). ასევე, ელექტრონული ფოსტით: khobi.mun@gmail.com

დოკუმენტები

სობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი (პროექტი)

სობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით შემოსავლები განისაზღვრა 6220,6 ათასი ლარით აქედან: გადასახადები 4000,0 ათასი ლარი, გრანტები 1771,8 ათასი ლარი (აქედან: 1551,8 ათასი ლარი - გათანაბრებითი ტრანსფერი, 220,0 ათასი ლარი - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 3 ოქტომბრის №04-03/70441 და 10 ნოემბრის №04-03/82363 წერილები), სხვა შემოსავლები 448,8 ათასი ლარი.

სობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები განისაზღვრა 6162,7 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 1654,9 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 998,5 ათასი ლარი, პროცენტი 84,5 ათასი ლარი, სუბსიდიები 3185,5 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 239,3 ათასი ლარი.

სობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 57,9 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა -67,6 ათასი ლარით. აქედან: ზრდა 32,4 ათასი ლარი, კლება -100,0 ათასი ლარი.

სობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 125,5 ათასი ლარით.

სობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 6320,6 ათასი ლარით, აქედან: შემოსავლები - 6220,6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება - 100,0 ათასი ლარით.

სობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 6330,3 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები - 6162,7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 32,4 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება - 135,2 ათასი ლარით. მხარჯავი სუბიექტების მიერ წარმოდ-

განმარტებითი ბარათი

გენილი 2015 წლის ბიუჯეტის პროექტების მიმართ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს გააჩნია გარკვეული შენიშვნები, კერძოდ:

ა) გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ წარმოდგენილი „სპორტული ღონისძიებები“-ს, „ახალგაზრდული ღონისძიებები“-ს, „კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებები“-სა და „ძეგლთა დაცვის“ ღონისძიებების უმეტესი ნაწილი მიზანშეწონილი იქნებოდა განხორციელებინა მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად დაფუნდებული იურიდიული პირებს. მათ მიერ საკუთარი ძალებით აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება ნაკლებ დაფინანსებას მოითხოვდა, რამდენადაც უმეტესი ნაწილი შესრულებული იქნება საკუთარი ძალებით, იგულისხმება თითოეულის შტატში მყოფი სპეციალისტები, შესაბამისად არ მოხდება ელექტრონულ ტენდერზე ან გამარტივებული შესყიდვის წესით მათი შესყიდვა და პირდაპირი ხარჯების, ზედნაღები ხარჯების, გეგმიური დაგროვების და დ.დ.გ.-ს ნაწილში მიღებულ იქნებოდა ეკონომია.

თუ შესყიდვას კვლავ განახორციელებს სამსახური, უნდა დაკონკრეტდეს ღონისძიებების ცალკეული მუხლების განფასებები, მათ უნდა მიეცეს ხარჯთაღრიცხვის ფორმა (პირდაპირი ხარჯების, ზედნაღები ხარჯების, გეგმიური დაგროვების და დ.დ.გ.-ს ჩვენებით).

ბ) გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის მიერ წარმოდგენილ პროექტში: - სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 თებერვლის №11

განკარგულებით დამტკიცებულ „სობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მუნიციპალურ პროგრამა“-ში უნდა აისახოს ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (9 მაისის ერთჯერადი ღონისძიება), ჩერნობილის ტრაგედიის დროს დაზარალებულთა დახმარებისა და დამატებითი ამბულატორიულ-სამედიცინო მომსახურების პროგრამები. ამ უკანაკნელს ემატება 2015 წლისათვის სოფელ შავლეულში 6360,0 ლარის მომსახურება.

გ) შპს „სობის მოამბე“-ს მიერ წარმოდგენილ პროექტის მიხედვით:

- მიზანშეწონილი იქნებოდა საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია;

- წლების მიხედვით შეუსრულებელია ადგილობრივი შემოსულობების გეგმა, ფაქტიურად არც იგეგმება გაზეთების რეალიზაცია მოსახლეობაზე.

- საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია სთან ერთად უნდა განხილულ იქნეს გაზეთის გვერდების რაოდენობის საკითხი და ნომრების რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ხარჯების შემცირება;

დ) ა(ა)იპ „სობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“-ს მიერ წარმოდგენილ პროექტში: - გადასაწყვეტია მცირერიცხოვანი კონტიგენტის ბალებში მუსიკის მასწავლებლების საჭიროების საკითხი, ასევე ადრე მოქმედი ნორმატივების შესაბამისად მთავარმა სპეციალისტებმა დღეში 3 საათით ხანგრძლივობით აწარმოონ პედაგოგიური მუშაობა;

- გაერთიანების მიერ დაისვა ექიმი პედიატრის საშტატო ერთეულის საჭიროება. ალბათ მიზანშეწონილი იქნება განხორციელდეს რეორგანიზაცია და იუ-

რისტის საშტატო ერთეულს ჩაენაცვლოს ექიმი პედიატრის საშტატო ერთეული.

ე) ა(ა)იპ „სობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილ პროექტში:

- უნდა მოხდეს გარკვეულ ქვედანაყოფებში საშტატო ერთეულების კორექტირება მათი ფუნქციონალური დანიშნულებისა და დატვირთვის შესაბამისად. მაგალითად: ცენტრალურ აპარატში საკვებით შესაძლებელია იურისტიისა და შესყიდვების საკითხებში სპეციალისტის საშტატო ერთეულების გაერთიანება ერთ საშტატო ერთეულად. საკითხისადმი ასეთი მიდგომა აუცილებლად მიმართა სხვა ქვედანაყოფებშიც (უნდა გაანალიზდეს უნდა მოსწავლეთა სახლის წრეების საკითხი).

ვ) შპს „სობი დასუფთავება და განათება“-ს მიერ წარმოდგენილ პროექტში:

- გარე განათება-საჭიროდ მიმართა სიმძლავრეებზე მონაცემები შემოწმებულ და შეთანხმებულ იქნეს გამგეობის შესაბამის სამსახურთან, ასევე სამსახურთან შეთანხმდეს სათანადო მარაგ-ნაწილებისა და ტრანსპორტის ხარჯების სავარაუდო მოცულობა.

- პარკ-ხეივანების მოვლა-პატრონობა-საჭიროდ მიმართა მონაცემები, იგულისხმება პარკ-ხეივანის ფართობები შესასრულებელ სამუშაოთა სახეების მიხედვით, შემოწმებულ და შეთანხმებულ იქნეს გამგეობის შესაბამის სამსახურთან, ასევე შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობები და განფასებები.

- ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება - საჭიროდ მიმართა მონაცემები, იგულისხმება დასასუფთავებელი ქუჩებისა და მოედნების ფართობები, შემოწმებულ და შეთანხმებულ იქნეს გამგეობის შესაბამის სამსახურთან, ასევე შესასრულებელ სამუშაოთა განფასებები.

გაუგებარია წარმოდგენილ პროექტში დასუფთავების სამუშაოთა თვეების

დოკუმენტი

სობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი (პროექტი)

მიხედვით თანაბრად განაწილება, რამე თუ სეზონურობის მიხედვით ქუჩებისა და მოედნების დასუფთავების საჭიროება და შე-

და მორავონ დამტკიცებულ ფონდს და არა პირიქით. თ) ა(ა)იპ „სობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილ პროექტში:

მუზეუმისთვის, 12,8 ათასი ლარი, ხოლო ხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმზე მხოლოდ 11,0 ათასი ლარი. აღიო მირცხულავას მუზეუმის შენახვაზე იგეგმება 3,1 ათასი ლარი.

ადგილი). -სასურველი იქნება კომისიაზე განხილულ იქნას დაგეგმილი სპეცია-

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება № 2014 წლის ნოემბერი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის შესაბამისად, სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

Table with 4 columns: 2013 წლის მუხლი, 2014 წლის გეგმა, 2015 წლის გეგმა, 2015 წლის ბეჭედი. Rows include: მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი, მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება.

Table with 8 columns: საკრებულო, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები, საიპერაციო ხაზლი, არაფინანსური აქტივების ცვლილება, ზრდა, კლება, მთლიანი საღარიბო, ფინანსური აქტივების ცვლილება, ზრდა, კლება, ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა, სესხები, კლება.

Table with 8 columns: საკრებულო, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები, საიპერაციო ხაზლი, არაფინანსური აქტივების ცვლილება, ზრდა, კლება, მთლიანი საღარიბო, ფინანსური აქტივების ცვლილება, ზრდა, კლება, ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა, სესხები, კლება.

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება

Table with 8 columns: საკრებულო, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები, საიპერაციო ხაზლი, არაფინანსური აქტივების ცვლილება, ზრდა, კლება, მთლიანი საღარიბო, ფინანსური აქტივების ცვლილება, ზრდა, კლება, ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა, სესხები, კლება.

დოკუმენტი

სტობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი (პროექტი)

4

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6220.6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

Table with columns: დასახელება, 2013 წლის, 2014 წლის გეგმა, 2015 წლის გეგმა. Rows include შემოსავლები, გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები.

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 4000.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

Table with columns: დასახელება, კოდი, 2013 წლის ფაქტი, 2014 წლის გეგმა, 2015 წლის გეგმა. Rows include გადასახადები, საშემოსლო გადასახადი, ქონების გადასახადი, საჯაროებლის საჯაროობა, უცხოურ საჯაროობა, ფიზიკურ პირთა ქონებაზე, კუროსიკური საქმიანობის გააუმჯობესებელი ღირებულება, არაკუროსიკური საქმიანობის გააუმჯობესებელი ღირებულება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, ფიზიკურ პირებიდან, იურიდიულ პირებიდან, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, ფიზიკურ პირებიდან, იურიდიულ პირებიდან, სხვა გადასახადები, სხვა გადასახადები.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 1771.8 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

Table with columns: დასახელება, 2013 წლის, 2014 წლის გეგმა, 2015 წლის გეგმა. Rows include გრანტები, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნით, მხარდაჭერის გრანტები, აგრეთვე აგრეთვე, რეგულაციის ბიუჯეტიდან, გამოყოფილი კრანსიკური, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გამოყოფილი კრანსიკური, ბიუჯეტი, გათვალისწინებული კრანსიკური, გათვალისწინებული კრანსიკური, მისხმობის კრანსიკური, დედაკრანსიკური უფლებამოსილების განსახორციელებლად.

Table with columns: ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად, ფინანსების გამოყოფილი კრანსიკური, სხვა რეგულაციები, განსახორციელებელი პროექტების ფინანსირების წილი, მსარდაკერის პროგრამა, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, შიდაგროსი სარეზერვო ფონდი, სტიქიის შედეგების სასოფლო-სამეურნეო ფონდი.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 448.8 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

Table with columns: დასახელება, 2013 წლის, 2014 წლის გეგმა, 2015 წლის გეგმა. Rows include შემოსავლები, პროცენტები, დივიდენდები, რენტა, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით, სარეგულირებისათვის უფასო სასაქონლო მიწის ფართობი და მართვის (უზურფრეკტი, ქონების და სხვა) გადასახადები, არაკლასიფიცირებული რენტა, სპორტის და მოსასვენებლის რეგულაციები, აღმოსავლეთი და დასავლეთი საერთო-სახელმწიფო-ობრივი სასაქონლო მოსაკრებელი, სანავთბრეო მოსაკრებელი, სახელმწიფო ბაგი, საჯარო ინფრასტრუქტურის ასფალტის გადასახადები, მოსაკრებელი, სახელმწიფო სახელმწიფო სახსრების გადასახადების მოსაკრებელი, სათბობი პარკების მოსაკრებელი, ავტოსადგომი მოსაკრებელი და სასაქონლო ცენტრების დასახლებებისათვის სხვა, არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი, არასახსნი წესით გათვალისწინებული და მოსასვენებელი, შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან, შემოსავლები მოსაკრებების განაწილებიდან, უარყოფითი, სანავთბრეო და სარეზერვო, სახელმწიფო, კრანსიკური, მრეწველი და სხვა, არაკლასიფიცირებული შემოსავლები.

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6162.7 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

Table with columns: დასახელება, 2013 წლის, 2014 წლის გეგმა, 2015 წლის გეგმა. Rows include ხარჯები, შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, ძირითადი კაპიტალის მომსახურება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა, არაფინანსური აქტივების ზრდა.

Table with columns: დასახელება, 2013 წლის, 2014 წლის გეგმა, 2015 წლის გეგმა. Rows include ძირითადი აქტივები, მატერიალური ზრდა, ფასეულობები, არაფინანსური აქტივების ზრდა, საშინაო, საგარეო, მოხარული ოქრო და ნაქსნობის სექტორული უფლება, ელექტროენერჯის კლება, საშინაო, საგარეო.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 32.4 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

Table with columns: დასახელება, 2012 წლის ფაქტი, 2013 წლის გეგმა, 2014 წლის გეგმა. Rows include არაფინანსური აქტივების ზრდა.

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 100.0 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

Table with columns: დასახელება, 2013 წლის ფაქტი, 2014 წლის გეგმა, 2015 წლის გეგმა. Rows include არაფინანსური აქტივების კლება, ძირითადი აქტივები, მატერიალური მარაგები, არაფარმოვებული აქტივები, მიწა.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული ფორმით:

Table with columns: დასახელება, 2013 წლის ფაქტი, 2014 წლის გეგმა, 2015 წლის გეგმა. Rows include საერთო დანიშნულებების ხარჯები, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა.

დოკუმენტი

სობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი (პროექტი)

Table with 10 columns: ID, Description, and various financial figures (Budget, Income, Expenses, etc.). Includes sub-sections like 'ფინანსური და ფისკალური საქმიანობა' and 'საინფრასტრუქტურული საქმიანობა'.

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 125.5 ათასი ლარით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 -ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 9.7 -ით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0-ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 135.2 ათასი ლარით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდლების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 90.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსაზღვრის მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 220.0 ათასი ლარი მიიძღვრება:

ა) „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 100.5 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 114,5 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარი;

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თაპი II

სობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საგანგებო სიტუაციების (ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები და სხვა ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის სტიქიური უბედურებები) სალიკვიდაციოდ პრევენციის მიზნით აუცილებელია სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. ხანძრის ჩაქრობისა და სამაშველო ღონისძიებების მაღალპროფესიული უზრუნველყოფისათვის პირადი შემადგენლობის ტექნიკური და პროფესიული მომზადების სრულყოფა. თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის მიზანია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ქმედითუნარიანობის ამაღლება, სამაშველო-საავარიო ტექნიკით უზრუნველყოფა, ხანძრების დროს მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენის პროცენტული მაჩვენებლების ზრდა, ხანძრის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, პირადი შემადგენლობის კანონით გათვალისწინებული სოციალური და სამართლებრივი უფლებების დაცვა.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამით ხორციელდება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, წვევამდელთა ჯამრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ასფალტის საფარიანი გზების მოვლა-შენახვა, ტროტუარების რეაბილიტაცია, ქალაქის სკვერებისა და პარკების, ქუჩებისა და მოედნების დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების მოვლა-შენახვა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 03 01)

2.1.1 გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მოვლარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. პერსპექტივაში ამ მიმართულებით გაგრძელდება ასიგნებების გამოყოფა.

2.1.2 ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 02)

მომავალ წლებში მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მდგომარეობის ექსპლოატაციარეაბილიტაცია. სათანადო რესურსების შემთხვევაში ამ კუთხით ასიგნებები კვლავ გამოიყოფა.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

2.2.1 გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, შპს „სობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს გარე განათების მოვლა-შენახვის ღონისძიებების განხორციელებას;

2.2.2 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

მომავალ წლებში გათვალისწინებულ იქნება სოფლების წყალმომარაგების პრობლემების მნიშვნელოვანწილად გადაჭრა.

2.2.3 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 03)

პერსპექტივაში კვლავ გრძელდება საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

2.2.4 საინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

რეგიონის ჯარბნალექიანობიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საინფრასტრუქტურის მოწყობარეაბილიტაციის საკითხებს.

2.2.5 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 05)

შპს „სობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს ქალაქის სკვერებისა და პარკების მოვლა-შენახვისა და დასუფთავების ღონისძიებების განხორციელებას, გააჩნია შესაბამისი ტექნიკა, 2015 წლისათვის გამოყოფილია სულ 313.0 ათასი ლარის ასიგნება.

2.3 სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)

მუნიციპალიტეტისათვის ამ მეტად პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში საჭირო იქნება ცენტრალური ბიუჯეტიდან სათანადო სახსრების გამოყოფა.

2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)

პროექტი ხორციელდება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მიმართულებებზე, გამოკვეთილია გზები, საინფრასტრუქტურის და წყალმომარაგების სისტემები.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

ა(ა)პ „სობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან, ა(ა)პ „სობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“-ს მეშვეობით ხორციელდება ახალგაზრდობის პროფორიენტაციის პროგრამა. დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი არის სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)პ „სობის მუნი-

დოკუმენტი

სობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი (პროექტი)

თავი III

სობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 17. სობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზრვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

7

Table with columns for 2013, 2014, and 2015 budgets, categorized by administrative units and budget items.

Table with columns for various budget categories and their corresponding values across different years.

Table with columns for various budget categories and their corresponding values across different years.

სულთათანა

აკაკი ნაროუშვილი



აკაკი ალექსანდრეს ძე ნაროუშვილი დაიბადა 1924 წელს. 1943-1947 წლებში მსახურობდა შეიარაღებული ძალების რიგებში. 1953-1959 წლებში მუშაობდა პირველი ხორვის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ისტორიკოსის სპეციალობით. წლების განმავლობაში მუშაობდა ახალსოფლის საშუალო სკოლის დირექტორად. 1975 წელს გადაიყვანეს საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, რომელიც საკუთარი

განცხადების საფუძველზე დატოვა. ამის შემდეგ დაუბრუნდა საკუთარ პროფესიას და იმუშავა შუა ხორვის და შემდეგ ახალსოფლის სკოლის დირექტორად. არის საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, სახალხო განათლების წარჩინებული, დაჯილდოებულია მედლებითა და ორდენებით სახალხო განათლებაში შეტანილი დამსახურებისათვის. წლების განმავლობაში ოფიციალური თანამდებობის პარალელურად ასრულებდა პოეტ ალიო მირცხულავას სახლ-მუზეუმის დირექტორის მოვალეობას. მონაწილეობდა საქართველოს მასწავლებელთა რამდენიმე მოწვევის ყრილობაში. წლების განმავლობაში ზაფხულის სეზონში იყო ყულევის პიონერთა ბანაკის დირექტორი, რითაც თავისი კეთილსინდისიერი ქმედებით, რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი სიყვარული დაიმსახურა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ღრმა მწუხარებას გამოხატავს და უერთდება ოჯახის მწუხარებას აკაკი ნაროუშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

წუთისოფლის დაუწერელ კანონებს ვერავინ შეცვლის, როცა ადამიანი იბადება „მისი საფლავი მზად არის“. ჩემო მეგობარო, ვინ ვინ და თქვენ ეს კარგად იცოდით. თავზარი დამეცა, როცა გავიგე, ამქვეყნად რომ აღარ ხართ. თვალწინ დამიდგა ის დრო, როცა შენს სოფელში მე კოლმეურნეობას ვხელმძღვანელობდი, თქვენ პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობდით. ვიდრე შეგხვდებოდით, უკვე გიცნობდით, როგორც კარგ პედაგოგს, შეუდარებელ პიროვნებას და ინტელიგენტს... თქვენ ის კაცი ბრძანდებოდით, რომელსაც დავიწყება არ უწერია, თქვენი გავლილი ცხოვრება სილამაზეს არასოდეს დაკარგავს, თქვენს საცხოვრისში სიბნელე არასოდეს დაისადგურებს. ვინც გიცნობდათ და მათი შთამომავლებისთვისაც თქვენ უკვდავი იქნებით. ბატონო აკაკი (თქვენდამი მოწიწების გამო მუდამ ასე მოგმართავდათ ყველა), მე უკვე საუკუ-

ნეს მიღწეული ვარ და სათანადო გამოცდილებაც დამიგროვდა ეგაა, საბედნიეროდ აზროვნება შემომტრია. თქვენ ცხოვრების სასახელო გზა გამოიარეთ, მაგრამ მენანება, რომ ისე დაამთავრეთ ცხოვრების გზა, იღბლის მარცხალი ვერ გაახარეთ, არადა როგორ შთამომავლობას დაუტოვებდით ქვეყანას ისევე, როგორც თქვენმა მშობლებმა დატოვეს თქვენი და თქვენი დაძმების სახით. როგორც ნათქვამია, ჭკუა ათას გზას ხედავს და არ იცის რომელი აირჩიოსო, თქვენ აქტიური ცხოვრების პერიოდში არჩევანის დრო გაგეპარათ... თქვენი სიძლიერე სწორედ იმაში იყო და იქნება სამარადუამოდ, რომ თქვენს სახელს წითელ ზოლად პატიოსნება გაყვება. აქ დარჩენილი სახელი გიწინამძღვრებთ ზეციურ საუფლოში. დასანანია, რომ ამ სტრიქონებით მიწვეს თქვენთან დამშვიდობება. შეხვედრამდე.

კირილე ლაგვილაკა

მიუიკო იოსავა

ყველაფერში აქტიური იყავი და როდესაც სამშობლოს დასჭირდა, დანიშნულების ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდი. 2008 წლის 8 აგვისტოს ერთ აუწერელი ტრაგედია მოხდა. უგუნურების მიერ გაჩაღებულმა უსამართლო ომმა შეიწირა შენი ლამაზი, ჯანლივით სავსე, ხალისიანი სიცოცხლე, რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად, რითაც მოუშუშებელი იარა დაგვიტოვეთ. საბედისწერო გამოდგა თქვენთვის ის დაწყვეტილი დღე, რომელიც რუსმა აგრესორებმა „გვაჩუქეს“ 2008 წელს. ეს ქვეყანა ხომ მოულოდნელობებით არის სავსე. ვაი, რომ მკაცრი ყოფილა წუთისოფელი. ვინ იფიქრებდა თუ ასე ტრაგიკულად დამთავრდებოდა შენი ლამაზი სიცოცხლე. ვედარც უსაზღვრო სიყვარულით გშველით და ვედარც უსაზღვრო მონატრებით. მხოლოდ იმ დღეების გახსენება დაგვრჩა ნუგეშად, რომელიც შენთან გვაკავშირებდა. შენ ხომ ჩვენი შვილის, მამუკას განუყრელი ძმა და მეგობარი იყავი, ის რომ თბილისიდან ჩამოვიდოდა, სულ ერთად იყავით, თქვენი ჭირი და ლხინი ერთი იყო. ჩვენთან, სახლში მოსვლით გვახარებდი. შემოიყოლიებდი სიცოცხლის ხალისს, რომელიც მუდამ თან გდევდა. შენი ნათელი ღიმილით გააცისკროვნებდი ირ-

გვლივ ყველაფერს, ჩვენთვის დაუვიწყარია შენი სათნოებით სავსე ღიმილიანი სახე. შვილებში გამორჩეული ნამდვილად არ გვყავი. უკიდევანოა შენი მონატრება. ვლოცულობთ უხმოდ, რათა ლამაზად გიგლოვოთ, როგორც შენს სულს შეეფერება. გვიჭირს უშენობა ტკივილამდე, გვიყვარხართ, გეფერებით და ძალიან გვენატრები. ჩემო ღვთისნიერო ვაჟკაცო, ნებსით თუ უნებლიედ, შენი ლამაზი სხეული მივაბარეთ მშობლიურ მიწას, ხოლო სათნოებით სავსე სულმა კი ზეცაში ჰპოვა სასუფეველი. ჩვენო მიუიკო, ნეტავ ვიცოდე იმ ტრაგედიის წუთებში რას ფიქრობდი, რას ნატრობდი, ნეტავ შეგვეძლოს მისი შესრულება როგორ გწყუროდა სიცოცხლე, ვარსკვლავს ეთამაშებოდი, მომავალზე ფიქრობდი, ამჟამად კი მარადისობაში გადასახლდი. რითაც მწარე განაჩენი გამოგვიტანე. შენი სიცოცხლე მართლა ქარიშხალს ჰგავდა, სიკვდილი კი მეხის გავარდნას. უღევი სიყვარული დატოვე შენს ახლობლობაში, შენი ამქვეყნიდან წასვლით დიდი სიცარიელე დატოვე ჩვენს გულში. შენი ცხოვრების მანძილზე, ქართული ტრადიციებით აღზრდილს არაფერი შეგშლია. ღვთიური მადლი არ მოკლებოდეს შენს სულს და გან-



სასვენებელს, იყავი იმქვეყნად ვით წმინდანი, ღვთის რჩეული. შენ მოურჩენელ ტკივილად დარჩები ჩვენს გულში. გვიძმის შენი წარსულ დროში გახსენება. მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა, ჩვენო შვილო, ჩემო მიუიკო, საამაყო ვაჟკაცო, შენს წმინდა ადგილსამყოფელს არასოდეს მოაკლდება ცრემლი, წმინდა სათნოები და ყვაილები, ყოველთვის ვილოცებთ შენი წმინდა სულის უკვდავსაყოფად. დაე, უფალმა დაგიმკვიდროს სულის სიმშვიდე და ნათელი სასუფეველი. ჩვენო მიუიკო: **ვერ დაგიდექით ჯავშნად და ფარად, ვერ აგაშორეთ რისხვა რუსისა. შენ ჩვენს გულებში იცოცხლებ მარად, როგორც სიმბოლო სინანულისა. მარად შენზე მლოცველი რუსიკო, ბენადი და მამუკა შონიპი.**

ბეჟან შეროზია

გაუსაძლისი ტკივილი ხარ, ძმაო! ცრემლითა და ნაღველით გაზავებული ერთი წელი მიითვალა წარსულმა. ერთი წელია რაც უშენოდ ვარსებობთ, ჩემო ერთადერთო და უსაყვარლესო ძმაო ბეჟა! როგორ მეამაყებოდი და შეიმედებოდი ჩემო ვაჟკაცო, გამტანო და სიკეთით სავსე ძმაო! გაუსაძლისია უშენოდ ყოფნა, ძმაო, რითი ვანუგეშო ჩვენი საბრალო დედა, რომელმაც მთელი ცხოვრება მწუხარების წნეხში გაატარა. აქვე მოვიყვან იმ სიტყვებს, რომლითაც ჩვენი გამწარებული დედა დაგტირის-„ყველა ჩემს იარას შენ მიშუშებდი, შვილო! ვაი, რომ უშენობას არაფერი ეშველება. შენს გულდათუთქულ დედას ერთი ნატვრა დამრჩენია მხოლოდ, ნატვრა იმისა, როცა ჩემთვის ჩამოკრავს საბედისწერო საათი და იმქვეყნად ერთად ვიქნებით. მაპატიე შვილო, ჩემო იმედო, მაპატიე, რომ ვარსებობდა უშენობას ვუძლებ. სანამ სული მიდგას შენზე ვილოცებ ჩემო ნათლისვეტო, ჩემო

ხერხემალო და საყვარელო შვილო ბეჟუკა“. სულის სიღრმეზე მტკივა უშენობა, ძმაო! შენს ნასათუთევ შვილებს შენსავით ვერავინ მოეფერება. სიცოცხლე გიხაროდა, ამაყოფი ნაადრევად ბაბუა რომ გავხდი. გული მეწვის შენი ქვრივის - მზალის მდგომარეობით. რა ქნას ცალუღელად დარჩენილმა, დიდი პრობლემების წინაშე მდგარმა. როგორ გიყვარდათ ერთმანეთი... გპირდები, ძმაო, გვერდით დავუდგები მზალის და ყველაფერს გავაკეთებთ ისე, როგორც შენ გინდოდა. ბევრი ბოღმა და ნაღველი გაყვა თან, რომელსაც შენმა კეთილმა გულმა ვერ გაუძლო და პრობლემების მოგვარების მოლოდინში სიკვდილი ჩაგისაფრდა უცხო მხარეში... მიჭირს ამაზე ფიქრი... ჩემო ბეჟუკა, რამდენი სიყვარული დაგითესავს, ამის დასტურია ის ცხარე ცრემლები, რომლითაც დაგტირიან შენს საფლავთან მოსულნი: ნათესავები, მეზობლები და მეგობრები. შენი მეგობრები თითქმის ყო-



ველ დამე მოდიან შენს საფლავთან და გინთებენ სათნოებს. მინდა ყველა დიდხანს იყოს შენს მომგონებლად. მინდა თითოეულმა ჩემმა სიტყვამ და ცრემლმა, ჩემმა ხმამ შენამდე მოაღწიოს და გაყინული გული გაგითბოს. ვაი, რა სიცარიელეა უშენოდ ჩვენს ოჯახში, მაგრამ გწამდეს შენს სახელს, სიბოროს და სიყვარულს დრო ვერ გააუფერულებს. ჩვენს მონატრებას დასასრული არ ექნება, პირიქით, უამთავრად კიდევ უფრო გაამძაფრებს. ნათელში იყავი, ჩემო ერთადერთო, საყვარელო და საამაყო ძმაო... გწამდეს შენე ვილოცებთ, რომ ცათა სასუფეველში მშვიდად იყოს შენი კეთილი სული. **შენი და ნატო.**

მასშტაბური, საერთაშორისო საინფორმაციო კამპანია „ს აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“...

და ადამიანის უფლებებს შორის და ამით ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ამ სახის ძალადობა არის ადამიანის უფლებების დარღვევა.

მართ ძალადობა, „ძალადობა ბოროტებაა“, „ქალს უფლება აქვს იცხოვროს ძალადობის გარეშე“ და ა.შ.

თანასწორობა ქვეყნის სიძლიერაა



რომელიც ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობდა ღონისძიებაში და რომელიც ხორციელდებოდა კულტურულ-უმანიტარული ფონდი „სოხუმის“ მიერ „სობის ამომრჩეველ ქალთა ლიგის“ და სამეგრელოს გენდერული ქსელის ხობის საინიციატივო ჯგუფის მეშვეობით.

რად უნდა იქნეს საზოგადოებისათვის შესწავლილი, რომ ქალთა მიმართ ძალადობა მართლაც, რომ გამოუსწორებელი შეცდომა და ბოროტებაა.

მართ ძალადობა უდიდესი ბოროტებაა. „ს აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ არის საერთაშორისო საინფორმაციო კამპანია...

„ს აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ არის საერთაშორისო საინფორმაციო კამპანია, რომელსაც 1991 წელს საფუძველი ჩაუყარა ქალთა გლობალური ლიდერობის ცენტრმა.

მართ ძალადობა უდიდესი ბოროტებაა. „ს აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ არის საერთაშორისო საინფორმაციო კამპანია...

მკვლევარი სამადლობელი


სეთის ადმინისტრაციული ერთეულის ოზამეკარის მაცხოვრებლები წლებია უწყლობით ვითარდებიან... ჩვენი მრავალწინი თხოვნის მიუხედავად, ეს პრობლემა მუდმივად ყურადღების მიღმა რჩებოდა.

თავდა ტუმბო. გვეშველა, უბანს სასმელი წყლის პრობლემა არ გვექნება. ოზამეკარის მაცხოვრებლების სახელით გვინდა მადლობა ვუთხრათ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გიორგი ქაჯაიას...

სობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში წლების მანძილზე, სველი წერტილები მოუწესრიგებელი იყო, რის გამოც ბაგა-ბაღს წყალი არ მიეწოდებოდა.

მოლოცვა „ვალმოხდილი ხართ ქვეყნის წინაშე!“

ჩვენი პატარა ქალაქი მდიდარია ღირსეული და ღვაწლმოსილი ადამიანებით, რომელთა ცხოვრებას ღვაწლმოსილი ბიოგრაფია ამშვენებს.



მრავალი წლის განმავლობაში, კომკავშირის ხობის რაიკომის პირველი მდივანი იყავით, შემდეგ პარტიის ხობის რაიკომის ინსტრუქტორი, სადაც უმწიკვლოდ ეწეოდით პარტიულ მუშაობას.

რადგან პატიოსნება სიღიადესთან ყველაზე ახლოს დგას, მაგრამ პატიოსნებას ძალიან რომ გინდოდეს, ვერ იყავი, ნამეტნავად ძვირად ფასობს იგი, მილიონიდან ერთი თუ შემოღობის მისი ღირებულებების გადახდას.

გამოიწერეთ გაზეთი „სობის მოამბე“

Advertisement for the newspaper 'Sobis Moambe' showing multiple copies of the publication and contact information.

2009 წელს მეუღლე-ზინა გარდაგეცვალო, ძალიან განიცადეთ მეგობრის, იურისტის, განათლებული ქალბატონის ამქვეყნიდან წასვლა.

ეს წერილი თქვენდამი მოწიწებისა და პატივისცემად მიითვალეთ, ბატონო თათარ! თქვენ თაობათა შორის უმტკიცეს და დულაბად ღვეხართ და ასე იყავით დიდხანს.

Footer containing contact information for the newspaper, including phone numbers, email addresses, and subscription details.